

## რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობა და გარდამავალი პროცესების მიმღირის ანალიზი

### გ.მარაძე

ვანალიშვილია სისტემათაშორისო ხაზის ავარიული ამორთვისას სიმძლავრის მიმღებ სისტემაში აქტიური სიმძლავრის მოსალოდნელი დეფიციტის წარმოქმნის ფარგლები იმპორტირებულ სიმძლავრესთან დამკიდებულებაში ამავე სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის შემთხვების გათვალისწინებით.

აგებულია შესაბამისი ძრუდები კონკრეტულ შემთხვევებისთვის და ნაჩვენებია, რომ ანალიზის უფრო ფართო სპეცირიტ ჩატარების საფუძველზე, შესაძლებელია წინასწარ დაისახოს აღეჭვატური ღონისძიებები ავარიული სიტუაციის დროული და უფასტური ღიკვიდაციის მაზრით.

**საკვანძო სიტყვები:** რეაქტიული სიმძლავრე, უბალანსობა, გარდამავალი პროცესი, უქმი სკლის რეჟიმი, სიხშირე.

საქართველოში დიდი მასშტაბებით მიმდინარეობს ქვეყნის ელექტროსისტემის ელექტროგადაცემის ქსელის შემდგომი განვითარება. უკვე შენდება და დაგევმილია აშენდეს შიგასასისტემო როგორც 220, ასევე 500 კვ ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები (ეგ ხ). ასევე შენდება მეზობელ ელექტროსისტემებთან დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის სისტემათაშორისი ეგ ხ-ები.

ამ ხაზებიდან ერთი რომელიმე მათგანის (განსაკუთრებით გრძელი ხაზის) ავარიული გამორთვა კავშირში მყოფ ორივე ელექტროსისტემაში გამოიწვევს რეაქტიული სიმძლავრის დეფიციტს, რაც აქტიური სიმძლავრის მიმღებ სისტემაში, გარკვეულწილად, ამსუბუქებს აქტიური სიმძლავრის დეფიციტთან დაკავშირებულ პრობლემას, ხოლო აქტიური სიმძლავრის გამცემ სისტემაში კიდევ უფრო ამძიმებს აქტიური სიმძლავრის სიჭარბესთან დაკავშირებულ პრობლემას [1].

ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს ელექტროსისტემაში მიმდინარე გარდამავალი პროცესების ანალიზისას და, შესაბამისად, სასისტემო ავტომატიკის საშუალებით უნდა შემუშავდეს აღერებულ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა დროულად და ეფექტურად განხორციელდეს ავარიული სიტუაციის ლიკვიდაცია.


საქართველოს ენერგოსისტემაში გარდამავალი პროცესების მიმდინარეობაზე რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის გავლენის ანალიზი ჩატარდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ელექტროსისტემების დამაკავშირებელი 550 კვ ძაბვის სისტემათაშორისი ხაზის (“მუხრანი”) ავარიული გამორთვის მაგალითზე. განხილული იქნა შემთხვევები, როგორც ამ ხაზში გამავალი აქტიური სიმძლავრე უცვლელია და იცვლება რეაქტიული სიმძლავრის სიდიდე და მიმართულება. აქტიური სიმძლავრის დინების მიხედვით განხილული იქნა სამი სხვადასხვა ვარიანტი:

- გადადინება “მუხრანზე”  $P=0$ ;
- გადადინება “მუხრანზე”  $P=63$  მგვტ აზერბაიჯანისკენ;
- გადადინება “მუხრანზე”  $P=75$  მგვტ საქართველოსკენ.


გარდამავალი პროცესების მიმდინარეობის სურათი ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. სისტემაში სიხშირის ცვლილების სახით. როგორც ამ სურათებიდან ჩანს, სიხშირის გადახრაზე გავლენას ახდენს რეაქტიული სიმძლავრის სიდიდე, რომელიც გაედინება ხაზში მის ამორთვამდე.

ხაზი “რეაქტორი” დაახლოებით 280 კმ სიგრძისაა და მის მიერ გენერირებული რეაქტორული სიმძლავრე დაახლოებით, ასევე, 280 მგვარ-ს შეადგენს. უქმი სკლის რეჟიმში ( $P=0$ ) ხაზიდან საქართველოს ელექტროსისტემაში შემოედინება  $\approx 140$  მგვარ რეაქტორული სიმძლავრე. აქედან გამომდინარე, ამ ხაზის ავარიულად ამორთვისას, როგორც ეს ნახ. 1-დან ჩანს, საქართველოს ელექტროსისტემაში სიხშირე ამაღლდა თითქმის 50,75 ჰე-მდე. როდესაც აზერბაიჯანის კენ გადაედინება 63 მგვტ აქტიური სიმძლავრე (ამ დროს ხაზიდან საქართველოში შემოედინება თითქმის ისევ 140 მგვარ რეაქტორული სიმძლავრე), მაშინ ხაზის ავარიული გამორთვა საქართველოს ენერგოსისტემაში იწვევს სიხშირის ამაღლებას დაახლოებით 51,21 ჰე-მდე (ნახ. 2). ხოლო როდესაც აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოედინება 75 მგვტ აქტიური სიმძლავრე (ამ დროს ხაზიდან საქართველოში შემოედინება ისევ 140 მგვარ რეაქტორული სიმძლავრე), მაშინ ხაზის ავარიული გამორთვა საქართველოს ენერგოსისტემაში იწვევს სიხშირის ამაღლებას დაახლოებით 50,4 ჰე-მდე (ნახ. 3).


ნახ. 4-ზე ნაჩვენებია, მოცემული სიღილის აქტიური სიმძლავრის გადადინებისას სიხშირის გადახრის დამოკიდებულება ხაზში გამავალი რეაქტორული სიმძლავრის სიღილესა და მიმართულებაზე. ამ ნახაზიდან ჩანს, რომ თუ მოცემული სიღილი აქტიური სიმძლავრის დინებას თან ახლავს ცალსახად განსაზღვრული რეაქტორული სიმძლავრის დინება, მაშინ სიმძლავრის მიმღებ სისტემაში სიხშირის ცვლილებას ადგილი არ აქვს. კერძოდ, საქართველოს ენერგოსისტემაში სიხშირის გადახრას ადგილი არ ექნება თუ 63 მგვტ აქტიური სიმძლავრის გადინებისას ადგილი აქვს 79 მგვარ რეაქტორული სიმძლავრის გადინებისაც, ან 75 მგვტ აქტიური სიმძლავრის შემოდინებისას შემოდინება, აგრეთვე, 61 მგვარ რეაქტორული სიმძლავრე.




ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.



ნახ. 4.

სიხშირის სტაბილურობის პირობით ხაზში გამავალ აქტიურ და რეაქტიულ სიმძლავრეთა ზემოთ აღნიშნული თანაფარდობა გამომდინარეობს დატვირთვის მარეგულირებელი ეფექტით. კერძოდ, რეაქტიული სიმძლავრის ცალსახად განსაზღვრული სიჭარბე ან დეფიციტი ისეთი სიდიდით ცვლის ძაბვის დონეს, რომ ხორციელდება აქტიური სიმძლავრის დეფიციტის, თითქმის, სრული კომპენსაცია.

ხაზში გამავალ აქტიურ და რეაქტიულ სიმძლავრეთა ასეთი სასურველი თანაფარდობის უზრუნველყოფა, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც ხაზში გამავალი მოცემული სიდიდის აქტიური სიმძლავრე, ხაზის თავსა და ბოლოში მუშა ძაბვების დასაშეგ ფარგლებში უზრუნველყოფის პირობებში, ცალსახად განსაზღვრავს ამ ხაზის თავსა და ბოლოში გამავალი რეაქტიული სიმძლავრის სიდიდეს. კერძოდ, განხილული ხაზისთვის, როდესაც  $P=0$ , იგი შეადგენს 140 მგვარ-ს.

საკითხის აღნიშნული მიმართულებით განხილვა საშუალებას მოგვცემს, სისტემათაშორის ხაზში გამავალი აქტიური სიმძლავრის სიდიდის მიხდვით, წინასწარ დავადგინოთ ელექტროსისტემაში წარმოქმნილი აქტიური სიმძლავრის მოსალოდნელი დეფიციტის სიდიდე და, ასევე, წინასწარ დავსახოთ აღეკვატური ღონისძიებები ავარიული სიტუაციის დროული და ეფექტური ლიკვიდაციისთვის.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. რუხვაძე მ., მახარაძე მ. ელექტროსისტემაში სიხშირის მართვის საკითხები რეაქტიული სიმძლავრის ბალანსის დარღვევისას//ენერგია. №2(54). 2010. თბილისი.